ISSN 2667-9396

№ 25

მეგახლე

კომპანიის სიახლეები
ჩვენი თანამშრომლები
ღონისძიებები

ტყიბულის ამბები
იმერეთის სიახლეები
სპორტი

„საქნახშირის სპორტული და გასართობი ღონისძიებები" ჭადრაკის შიდა ჩემპიონატით გაიხსნა!

გვ. 3

გვ. 2

„საქნახშირში" საკონსულტაციო საბჭოს შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა

გვ. 6

ტყიბულში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა!

გვ. 10

ქუთაისში 480 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა

გაზაფხული 2023

„საქნახშირში“ საკონსულტაციო საბჭოს შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა

19 მაისს „საქნახშირში“ საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც მასში შემავალი კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, პროფკავშირის ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.

პირველი საკითხი, რომელიც განიხილეს, საკონსულტაციო საბჭოს კომიტეტის წევრების ცვლილება იყო. აღინიშნა, რომ საკადრო გადაადგილებებისა და ცალკეული თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლების გამო, კომიტეტებს ახალი წევრები დაემატნენ, კერძოდ: კობა შარვაძე (შრომის უსაფრთხოების კომიტეტიში), გიორგი კერესელიძე (წარმოების კომიტეტში), როსტომ ქუთათელაძე (საბიუჯეტო კომიტეტში) და გელა უკლება (ინფრასტრუქტურის კომიტეტში).

გარდა ამისა, განიხილეს მოპოვების გეგმების შესრულების მიმდინარეობა, გასული 5 თვის განმავლობაში არსებული დარღვევების სტატისტიკა, ცეტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის თანამშრომლების ანაზღაურების სისტების საკითხი და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები.

კორპორატიული შეჯიბრის სისტემა

სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ 2023 წლის ივნისიდან, 2 თვიანი სატესტო რეჟიმით, კორპორატიული შეჯიბრის სისტემა ამოქმედდება. თავდაპირველად, საერთო სპეციფიკის მქონე უბნები დაჯგუფდებიან. კონკრეტულად კი, შემდეგი უბნები:

- I ნახშირმომპოვებელი უბანი
- II ნახშირმომპოვებელი უბანი
- IV ნახშირმომპოვებელი უბანი
- VI ნახშირმომპოვებელი უბანი

ორთვიანი სატესტო რეჟიმის წარმატებით გავლის შემდეგ კი, კორპორატიული შეჯიბრის სისტემაში შახტის ყველა უბანი ჩაერთვება. მონაცემების მონიტორინგს საწარმოო კომიტეტი განახორციელებს. მონაცემების შეგროვებისა და შეფასების პროცესში ჩართული იქნება საქართველოს პროფკავშირების გაერთაიენბაც.

ვენტილაცია და ტექნიკური ზედამხედველობა

ბოლო პერიოდში, ვენტილაციისა და ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლების მოვალეობები გაიზარდა - მათ ტექნიკური საკითხებისა და ფეთქითი სამუშაოების სრული ზედამხედველობა და კონტროლი დაევალათ. დარღვევის გამოვლენაზე ახდენენ შესაბამის რეაგირებებს და აკეთებენ მიწერილობებს. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა.

ამ მიმართულებით, უბნის მუშაკთა საქმიანობის მეტი სტიმულირებისათვის, მომზადდა დებულება, რომელიც წარმოდგენილია დასამტკიცებლად. ის ითვალისწინებს დანამატების გაცემას გამოვლენილი დარღვევების რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ვენტილაციისა და ტექნიკური უსაფრთხოების ზედამხედველობის უბნის თანამშრომელთა წახალისება არ იქნება მიბმული სხვა უბნების სახელფასო (საპრემიო) ფონდზე.

ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის შრომის ანაზღაურების ცვლილება

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს გამამდიდრებელი ფაბრიკის, ე.წ. „ცოფის“ თანამშრომლების შრომის წახალისების შესახებ. გადაწყდა, რომ ფაბრიკაში დასაქმებულების შრომის სტიმულირების მიზნით, შემუშავდება დებულება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება დანამატების გაცემა მათზე მიცემული პარამეტრების გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში. დებულება ძალაშია 1 ივნისიდან.

გარდა ამისა, საბჭოზე განხილული იყო სამუშაო საათების ცვლილება. კერძოდ, მთავრობის დადგენილებით, სამთომოპოვებითი დარგის წარმომადგენლებისთვის სამუშაო საათების რაოდენობა კვირაში 48 საათიდან 40 საათამდე შემცირდა. აღნიშნული საკითხი დაახლოებით 230-მდე თანამშრომელს ეხება და საწარმოს მენეჯმენტი, დასაქმებულებთან შეთანხმებით, აქტიურად მუშაობს მათი სამუშაო რეჟიმების შესაძლო ცვლილებაზე (რათა დასაქმებულებს არ მოუწიოთ კვირაში 40 საათზე მეტი მუშაობა). თავის მხრივ, ეს ცვლილება დამატებითი კადრების მოძიებას და მათ შესაბამისად გადანაწილებას გულისხმობს.

დღის წესრიგში იდგა გაცდენებისა და დარღვევების საკითხები. უკანასკნელი თვეების მონაცემებით, გაცდენილი დღეების რაოდენობამ 3700 დღე შეადგინა, ბოლო 4 თვის განმავლობაში კი, 384 ბიულეტენი გაიცა. აღნიშნული მონაცემები მნიშნელოვნად აფერხებს საწარმოს გამართულ მუშაობას. ამ საკითხით დაინტერესდნენ პროფკავშირების წარმომადგენლებიც, რომლებიც აღნიშნული პროცესის მონიტორინგში ჩაერთვებიან და გამომწვევ მიზეზებს დეტალურად შეისწავლიან.

სიახლე „უნისონის“ სადაზღვევო მომსახურებაში

მიმდინარე წლის აპრილიდან, ქუთაისში, კლინიკა LG-ში სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ ოჯახის ექიმის კაბინეტი გაიხნსა, სადაც „საქნახშირში“ დასაქმებულებს კონსულტაციას ექიმი ნინო კილაძე გაუწევს.

აღნიშნულ კლინიკაში მისვლამდე, „საქნახშირში“ დასაქმებულმა უნდა დარეკოს სადაზღვევო კომპანია ,,უნისონის“ ცხელ ხაზზე (ტელ: 032 2991 991) და დაჯავშნოს LG-ს ოჯახის ექიმთან ვიზიტი. კონსულტაციის შემდეგ, ოჯახის ექიმი გასცემს შესაბამისი ამბულატორიული მომსახურებისა და მედიკამენტების მიმართვას.

კლინიკა LG - ს ოჯახის ექიმის სამუშაო გრაფიკი:

- ორშაბათი - 9.30 სთ-დან 14.00 სთ-მდე
- სამშაბათი - 9.30 სთ-დან 15.00 სთ-მდე
- ოთხშაბათი - 9.30 სთ-დან 17.00 სთ-მდე
- ხუთშაბათი - 9.30 სთ-დან 15.00 სთ-მდე
- პარასკევი - 12.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე
- შაბათი - 10.00 სთ-დან 14.00 სთ-მდე

მიმდინარე წელს, სადაზღვევო პაკეტს, ქ. თბილისში, ამბულატორიულ მომსახურების პროვაიდერი ორი კლინიკა დაემატა. სამედიცინო მომსახურების მისაღებად „საქნახშირში“ დასაქმებულმა წინასწარ უნდა დარეკოს „უნისონის“ ცხელ ხაზზე (ტელ: 032 2991 991) და ახორციელებს ვიზიტის ჯავშანს ოჯახის ექიმთან თბილისში, „უნისონის“ პროვაიდერ კლინიკაში; აგრეთვე, ,,საქნახშირში“ დასაქმებულებს შეუძლიათ მიიღონ მომსახურება ქუთაისის ცენტრალურ საავადმყოფოშიც (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო).

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

„საქნახშირის“ დირექტორი, ალეკსანდრ ლოვინი, მთავარი ინჟინერი, ვოლოდიმირ კლადკო და „საქნახშირის“ საკონსულტაციო ჯგუფის კონსულტანტი, ავთო ბოჭორიშვილი სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ანზოლ აბშილავას, სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელებს და სტუდენტური კავშირის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მოხდა სამომავლო გეგმებისა და შახტების განვითარების პერსპექტივის განხილვა, ასევე, საუბარი შეეხო კვალიფიციური კადრების მომზადებას და ამ პროცესში ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის კონტრიბუციას. გარდა ამისა, „საქნახშირის“ წარმომადგენლებმა გეოლოგიური მუზეუმები და შახტა-ლაბორატორიაც მოინახულეს.

„ᲡᲐᲥᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ“ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲗ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ!

მეშახტეებს შორის ჭადრაკის შიდა ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. მას ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, იუზა დოლიძე ხელმძღვანელობდა.

„საქნახშირმა“ გამარჯვებულებს სამახსოვრო სიგელები და ფულადი პრიზები გადასცა.

I ადგილი გია სულამანიძემ დაიკავა,

II ადგილზე გიორგი მახარაშვილი გავიდა,

III ადგილის მფლობელი კი ვალოდია მესხი გახდა.

გამარჯვებულებმა ტყიბულის გუნდურ ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, სადაც II და III ადგილები დაიკავეს.

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲜᲡᲐᲯᲔᲗᲠᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲔᲗ!

„საქნახშირის“ ინიციატივით, ტყიბულის თეატრში „საქართველოს თოჯინების პროფესიული თეატრების გაერთიანების“ სპექტაკლის ჩვენება გაიმართა. ანრი პოპესკუს პიესის მიხედვით დადგმული „მზის სხივი“ ნამდვილ, უანგარო მეგობრობაზე გვიყვება და დაუვიწყარ ემოციებს ტოვებს. სპექტაკლი „ახალციხის თოჯინების თეატრმა“ წარმოადგინა და სცენაზე ულამაზესი სანახაობა შექმნა.

გარდა ამისა, „საქნახშირში“ დასაქმებულების შვილებისთვის საბავშვო ფურშეტი მოეწყო. ღონისძიება სადღესასწაულო ტორტის გაჭრითა და მხიარული თამაშებით დაგვირგვინდა.

გაიცანით „ხარისხის კონტროლის სამსახურის“ სპეციალისტები

ქვანახშირის ხარისხს „საქნახშირში“ სპეციალური სამსახური აკონტროლებს, რომელიც მაღალი დონის სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. აღნიშნულ სამსახურს როსტომ ქუთათელაძე ხელმძღვანელობს. ბატონი როსტომი სამთო ინჟინრის პროფესიას ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში დაეუფლა და უკვე 20 წელია სამთო დარგს ემსახურება. ტყიბულში 1981 წელს, განაწილებით მოხვდა. ჯერ ვენტილაციისა და უსაფრთხოების უბანში, სამთო ოსტატად დაიწყო მუშაობა; შემდეგ უბნის უფროსის მოადგილედ, უბნის უფროსად და მთავარ ინჟინრად მუშაობდა. 2013 წელს ტექნიკური სამსახურის უფროსის პოზიციაზე დაინიშნა; 2015 წლიდან კი, “ხარისხის კონტროლის სამსახურის“ ხელმძღვანელია. ამავე სამსახურში არიან დასაქმებულები ხარისხის კონტროლის სამსახურის სამთო სამუშოების აღრიცხვისა და ბაზების კონტროლის სპეციალისტი მაია შაოშაძე, ხარისხის კონტროლის სამსახურის სამთო სამუშაოების ხარისხის კონტროლის სპეციალისტები - ალექსანდრე გვენეტაძე, ამირან ბუცხრიკიძე და გიზო კირკიტაძე.

როსტომ ქუთათელაძე: „ხარისხის კონტროლის სამსახურის მოვალეობა ნახშირმომპოვებელ უბნებში (ვიზუალურად და სინჯების აღების მეშვეობით) მოპოვებული ნახშირის ხარისხის კონტროლია. ასევე, ტექნიკური პასპორტის შესაბამისად ვაწარმოებთ გაყვანითი სამუშაოების შემოწმებას. დიდი ყურადღება ეთმობა გამონამუშევრებში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რათა შემცირდეს რისკის შემცველი ფაქტორები. ვმონაწილეობთ ყოველწლიური და ყოველთვიური სარემონტო სამუშაოების დაგეგმარებაში. მათი შესრულების კონტროლს ყოველთვიურად და დეკადურად, აზომვითი სამუშაოების მეშვეობით ვაწარმოებთ. ჩვენს სამსახურში დასაქმებულები არიან დიდი გამოცდილების მქონე, მაღალი დონის პროფესიონალები. ეს პროფესიონალიზმი ჩვენ მიერ შესრულებულ საქმეზე ყოველდღიურად აისახება.“

გიორგი ჭაბუკიანი: „ჩვენ ვშრომობთ ჩვენი ოჯახებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!“

გიორგი ჭაბუკიანი

გიორგი ჭაბუკიანი პროფესიით სამთოელია. საშახტო აწევისა და ენერგო-ინჟინრის კვალიფიკაციას „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტში“ დაეუფლა. 2013 წელს „მინდელის“ სახელობის შახტში, დამხმარე ჭაურის ამწე მანქანის მემანქანედ დაიწყო მუშაობა. გარკვეული პერიოდით სხვა დარგშიც გადაინაცვლა და ქუთაისში მუშაობდა. თუმცა, 2021 წელს კი კვლავ სამთო დარგს დაუბრუნდა. მეუღლესთან და შვილებთან ერთად მშობლიურ ქალაქში ჩამოვიდა და საშახტო აწევის უბნის მიწისქვეშა დამხმარე ჭაურის ამწე მანქანის მემანქანის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა.

გიორგი ჭაბუკიანი: „შახტას ტყიბულისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რეგიონში ყველაზე დიდი დამსაქმებელი კომპანიაა. რაც საწარმოო პროცესი აღგა ქალაქი უფრო გამოცოცხლდა და გალამაზდა. როგორც ვიცი, მუნიციპალიტეტში კიდევ ბევრი კარგი პროექტების განხორციელებაა დაგეგმილი. მეც ამიტომ დავბრუნდი შახტში სამუშაოდ. „საქნახშირში“ სტაბილური სამსახური და შესაბამისი ანაზღაურებაა. ჩემი ოჯახის ძირითადი შემოსავლი „საქნახშირიდან“ მიღებული ჰონორარია. გარდა ამისა, ძალიან სასიამოვნოა საუკეთესო გუნდთან ერთად მუშობა. ყველა მეშახტეს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებ. ჩვენ ვშრომობთ ჩვენი ოჯახებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ!“

მაკა ცნობილაძე

15 წელი „საქნახშირში“

მაკა ცნობილაძის „საქნახშირში“ საქმიანობა 15 წელს ითვლის. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო ტექნოლოგიური ინსტიტუტი“ ეკონომისტის კვალიფიკაციით დაამთავრა. 2008 წელს „საქნახშირის“ კადრების განყოფილების უფროსის მოადგილის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. 2015 წლიდან დღემდე კი, კანცელარიისა და დოკუმენტაციის დაარქივების მთავარი სპეციალისტია.

მაკა ცნობილაძე: „ჩვენი კომპანია უდიდეს როლს ასრულებს არა მხოლოდ ქალაქის, არამედი მთლიანად რეგიონის განვითარებაში. ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილი აქ არის დასაქმებული და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა კომპანიის მდგრადობაზეა დამოკიდებული. ჩემი მეუღლეც და შვილიც შახტში მუშაობენ, შესაბამისად, ჩვენი ოჯახი კომპანიისგან მიღებულ შრომის ანაზღაურებაზეა დამოკიდებული. მივესალმები და სასიხარულოა, რომ კომპანია ასე ზრუნავს თითოეულ დასაქმებულზე და მთელს მუნიციპალიტეტზე. ეს უკვე შესამჩნევად აისახება ტყიბულის ეკონომიკაზე და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე.“

47 წელი სამთო სფეროში

შახი რიჟამაძე

შახი რიჟამაზე 47 წელია სამთო სფეროში საქმიანობს. ქუთაისის სამთო სასწვლებელი მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავების სპეციალობით დაამთავრა. 1976 წელს, სამხედრო სავალდებულო სამსახურის დასრულების შემდეგ, მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა და მუშაობა შახტში, წმენდით სანგრევში დაიწყო. 1979 წელს ე.წ. „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტში, საველე-გაყვანითი სამუშაოების ათისთავად გადავიდა. 2010 წლიდან კი დალამვის უბნის მიწისქვეშა სამთო ოსტატის პოზიციაზეა დასაქმებული და ერთგულად ემსახურება სამთო სფეროს. წლების მანძილზე დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას დღესაც სიყვარულით უზიარებს ახალბედა მეშახტეებს. გარდა ამისა, აქტიურადაა ჩართული „საქნახშირის“ ღონისძიებებში - მონაწილეობს ჭადრაკის შიდა ჩემპიონატებში და არაერთი პრიზის მფლობელიც გახდა. შახი ახალსოფელში, მეუღლესთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრობს. მეშახტეობასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც ეწევა.

შახი რიჟამაძე: „შახტში მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მიღებულ ცოდნას ყოველდღიურად ვუზიარებ დამწყებ მეშახტეებს. ამ სფეროში ასობით ახალგაზრდა მყავს აღზრდილი. მრავალი წლის წინ (საბჭოთა პერიოდში), როგორც დამსახურებულ მეშახტეს, ბინა მაჩუქეს და რიგის გარეშე მომცეს მანქანა. შახტის გარეშე ცხოვრება ჩემთვის წარმოუდგენელია, შახტა იგივე ჩემი ოჯახია. კმაყოფილი ვარ ამჟამინდელი მენეჯმენტის საქმიანობითა და მიდგომით. ისინი მუდმივად ზრუნავენ მეშახტეებისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნაზე. გვაქვს ჯანმრთელობის დაზღვევა, უფასო კვება; ხშირად იმართება წამახალისებელი სპორტული და გასართობი ღონისძიებები, რაც მისასალმებელი და დასაფასებელია. კომპანია ჩართულია ტყიბულის განვითარებისა და აღმშენებლობის საქმეში და თავისი წვლილი შეაქვს. ეს ყველაფერი მომავალში ჩვენი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობაზე შესამჩნევად აისახება.“

„საქნახშირმა" შშმ ბავშთა რეაბილიტაციის ცენტრი „ნაიო" საჭირო ავეჯით სრულად აღჭურვა!

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივითა და მხარდაჭერით ტყიბულში აუტიზმისა და ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის ცენტრი გაიხსნა. „საქნახშირის" დახმარებით, ცენტრი სრულად აღიჭურვა საჭირო ავეჯით და ამიერიდან, შშმ ბავშვები ტყიბულშივე შეძლებენ საჭირო სერვისებით სარგებლობას. პირველ ეტაპზე, ცენტრი აბილიტაცია-რეაბილიტაციისა და ადრეული განვითარების პროგრამებს შეასრულებს.

ცენტრის მოსაწყობად მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისი სივრცე გამოყო და შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები აღნიშნულ ორგანიზაციასთან ერთად განახორციელა.

ბავშვებს სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით კვალიფიციურ მომსახურებას გაუწევენ: ბავშვთა ნევროლოგი, ფიზიკური თერაპევტი, ქცევის თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური განათლების პედაგოგი, ოკუპაციური თერაპევტი და ფსიქოლოგი.

„ნაიო" უკვე 26 წელია დასავლეთ საქართველოში შშმ ბავშვების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის მიმართულებით მუშაობს, წარმოადგენს ყველაზე დიდი გამოცდილების მქონე ორგანიზაციას და ასრულებს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ პროგრამებს.

ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი მიღებას აცხადებს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი 2023 წლის სასწავლო პროგრამებზე მიღებას აცხადებს.

მიღება გამოცხადდა შემდეგ სპეციალობებზე:

1. მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი
2. სამთო ელექტრო-მექანიკოსი
3. სამთო ტექნიკოსი
4. მღებავი
5. მებათქაშე
6. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა

რეგისტრაცია იწარმოებს 2023 წლის 22 მაისიდან 10 სექტემბრის ჩათვლით. აპლიკანტემბა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

1. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ასლი (პირადობის მოწმობა უბრუნდება მფლობელს)
2. დაბადების მოწმობის ასლი
3. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი
4. ორი ფოტოსურათი (3X4) ამობეჭდილი და ელექტრონული ვერსია (დისკით)

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინსტიტუტის ადმინისტრაციას მისამართზე: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი #4.

ტელ: 599 30 46 42; 551 60 33 55

ტყიბულის მუნიციპალური თეატრის სპექტაკლი „თეატრალური იმერეთი 2023"-ის გამარჯვებულია!

ტყიბულის მუნიციპალური თეატრი, საერთაშორისო ფესტივალის ,,თეატრალური იმერეთი 2023"-ის გამარჯვებული ზედიზედ მეორედ გახდა. რეჟისორ მარიამ სიხარულიძის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა ,,უსამშობლო კაცი" გრან-პრი მოიპოვა. ქუთაისის, ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში, ფესტივალის დახურვის ღონისძიებაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული სპექტაკლები და მსახიობები გამოვლინდნენ. ახალგაზრდა რეჟისორი ქალის ნომინაციაში ტყიბულის თეატრის მოწვეული რეჟისორი, მარიამ სიხარულიძე დაჯილდოვდა.

გარდა ამისა, ცოტა ხნის წინ, ამავე სპექტაკლმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით დაფუძნებულ „სიღნაღის თეატრალურ ფესტივალზე" მეორე საპრიზო ადგილი მიიღო და ფესტივალის საზეიმო დახურვის ღონისძიებაზე ფულადი პრემიით, 10 000 ლარით დაჯილდოვდა.

მარიამ სიხარულიძემ „უსამშობლო კაცის" ინსცენირება ამერიკელი ავტორის, ედვარდ ჰეილის, ნაწარმოების მიხედვით დადგა, რომელიც ორიგინალის სრული ინტერპრეტაციაა. სიუჟეტი ჯარისკაცის ტრაგიკული ბედისწერას ასახავს, რომელიც სამშობლოსგან მოწყვეტილი კაცის ისტორიას გვიყვება. სპექტაკლში ტყიბულის თეატრის დასთან ერთად მოწვეული და მოყვარული მსახიობები მონაწილეობენ.

ტყიბულმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღნიშნა!

დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქი საზეიმოდ მოეწყო. დილიდან მოწამეთაში წვევამდელთა ფიცის დადების საზეიმო ცერემონია გაიმართა.

ცენტრალურ მოედანზე განთავსდა თემატური ისტორიული კუთხეები და ბავშვთა გასართობი სივრცეები. მოეწყო მსახიობებისა და ორკესტრის კოსტიუმირებული მსვლელობა, ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, სხვადასხვა შემოქმედებითი მასტერკლასი, შემეცნებითი თამაშები და სხვა აქტივობები. მთელი დღის განმავლობაში თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკა, შეიარაღება და აღჭურვილობა იყო გამოფენილი. მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ თბილისის ბავშვთა კაპელა და ადგილობრივი შემსრულებლები.

მოსახლეობასთან ერთად დღესასწაულს ესწრებოდნენ ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან წაქაძე, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ ბარკალაია, იმერეთის გუბერნატორის მოადგილე ბესიკ გოფოძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ რობაქიძე, ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი მეუფე გიორგი (შალამბერიძე), საქართველოს ძიუდოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლაშა გუჯეჯიანი, წარმატებული ტყიბულელი ძიუდოისტი ილია სულამანიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

17 საათსა და 10 წუთზე საზეიმოდ აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული დრო და სახელმწიფო ჰიმნი შესრულდა.

საზეიმო ღონისძიებები პოპულარული ჯგუფების „ფორტესა" და „მგზავრების" კონცერტით დასრულდა.



ტყიბულმა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღნიშნა

პატარებისათვის სადღესასწაულო კონცერტი ტრადიციულად მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ამფითეატრში გაიმართა. სასახლის შემოქმედებითმა ჯგუფებმა და შემსრულებლებმა ქორეოგრაფიული, ვოკალური ნომრები და ლიტერატურული კომპოზიციები წარმოადგინეს. ასევე, მოეწყო ასფალტზე ხატვა. ფერადი და მხიარული საღამო საზეიმო ფეიერვერკით დასრულდა.

დღესასწაული ბავშვებს სცენიდან მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, მიულოცა. ამ დღესთან დაკავშირებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილ ბავშვებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს, იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელმა, ნათია კოპალიანმა, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან, ალექსანდრე ქათამაძესთან ერთად საჩუქრები გადასცა.

მზია გიორგობიანმა ტყიბულში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ, მზია გიორგობიანმა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, ლევან კიკნაველიძემ, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

ცირეკიძის ქუჩაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი დასასვენებელი სივრცე მოეწყო. სკვერი შემოისაზღვრა დამცავი მოაჯირებით და იქ არსებული კიბეები დეკორატიული ფილებით მოპირკეთდა; დამონტაჟდა თანამედროვე განათების სისტემა, განთავსდა ხის სკამები და ურნები, ასევე, დაირგო ხე-მცენარეები.

ისტორიული იერსახის შენარჩუნების მიზნით, რუსთაველის ქუჩაზე არსებული კიბეები გამორჩეული არქიტექტურული გადაწყვეტით მოეწყო. პარალელურად, აღნიშნულ ქუჩაზე განხორციელდა N2 და N4 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, დასრულდა ქალაქში შემოსასვლელი ალტერნატიული გზის ერთ კილომეტრიანი, ხოლო სოფელ გელათში 3 კილომეტრიანი მონაკვეთის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. ცხრაჯვარიდან სალოცავამდე მოეწყო 800 მეტრიანი, ხოლო ცხრაჯვარიდან სოფელ ძმუისის კანიონამდე 22 კმ-იანი საფეხმავლო ტურისტული ბილიკი.

ხელისუფლების წარმომადგენლები გელათის ქუჩაზეც იმყოფებოდნენ, სადაც გზის სავალი ნაწილის ქვაფენილით მოპირკეთება, სკვერის მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გარე ფასადების და სახურავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

დავით ჩერქეზიშვილმა მინისტრის მოადგილეს მდინარის ორივე მხარეს მოაჯირების მოწყობის სამუშაოებიც დაათვალიერებინა და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია გააცნო.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის დაფინანსებით, სამუშაოების ღირებულება 6 მილიონ ლარს შეადგენს.

რუსთაველის ქუჩაზე მინი სპორტული მოედანი გაიხსნა

ტყიბულში, რუსთაველის ქუჩაზე სპორტული მოედანი და დასასვენებელი სივრცე მოეწყო. განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა ბავშვებთან ერთად გახსნა. პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 83700 ლარი გამოიყო, რომლის ფარგლებში, დაიგო ხელოვნური საფარი, დამონტაჟდა ფეხბურთის კარებები და გარე განათების სისტემა. მოედანი შემოისაზღვრა ბადე-პანელებით. მცირე ზომის სკვერში დაიგო ხელოვნური საფარი და განთავსდა ხის საქანელები.

აღნიშნული მიმართულებით სამუშაოები გრძელდება და წელს მუნიციპალიტეტს კიდევ რამდენიმე ახალი ლოკაცია შეემატება.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა შემუშავდა.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა ხუთწლიანი ინიციატივაა, რომლის მიზანს წარმოადგენს გააძლიეროს ანგარიშვალდებულება ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემაში, გაუმჯობესოს ინკლუზიური და მომხმარებელზე ორიენტირებული საჯარო სერვისების მიწოდება ადგილობრივ დონეზე და მხარი დაუჭიროს ცენტრალურ ინსტიტუტებს დეცენტრალიზაციისა და საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებაში.

ინტელექტის ოლიმპიადის გამარჯვებულების დაჯილდოების ღონისძიება

ქუთაისში, ინტელექტის ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა (EEU) და კინგსის პარტნიორობით, იმერეთის რეგიონის მასშტაბით, მე-10, მე-11, მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის ინტელექტის ოლიმპიადა ჩატარდა, სადაც III საპრიზო ადგილი ტყიბულის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლემ, ალექსი კუბლაშვილმა დაიკავა.

ოლიმპიადაში 7 მუნიციპალიტეტიდან 600-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, მათგან ფინალურ ეტაპზე 3 გამარჯვებული გამოვლინდა.

ოლიმპიადის გამარჯვებული ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ლუკა ლიკლიკაძე გახდა. საპრიზო ადგილებზე გასულ მოსწავლეებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისგან ყოველთვიური სტიპენდია, სპეციალური პრიზები და დიპლომები გადაეცათ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინტელექტის ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებს მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებითი პრიზები დაუწესა. დავით ჩერქეზიშვილმა, I,II და III ადგილებზე გასულ მოსწავლეებს: ალექსი კუბლაშვილს, მარიამ ჩიხრაძეს და ნიკოლოზ ოდიკაძეს შესაბამის სიგელებთან ერთად ფულადი ჯილდო გადასცა.

ტყიბულის ჯულტურის ობიექტების გაერთიანებას ქეთევან გოცირიძე უხელმძღვანელებს

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, ა.(ა).ი.პ. " კულტურის ობიექტების გაერთიანების" წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა. მერმა სამსახურს ახლად დანიშნული მოადგილე, სფეროს კურატორი, ალექსანდრე ქათამაძე და კულტურის ობიექტების გაერთიანების ახალი ხელმძღვანელი, ქეთევან გოცირიძე, წარუდგინა.

დავით ჩერქეზიშვილმა კულტურის ობიექტების გაერთიანების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს, ნათია ხეთერელს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა და განახლებულ გუნდთან ერთად წარმატებები უსურვა. მერმა ახალ გამოწვევებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მომავალში კულტურის მიმართულებით არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდება.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა

სამედიცინო აქციის ფარგლებში, მოქალაქეებს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას სხვადასხვა პროფილის ექიმები უწევდნენ:

ბავშვთა ორთოპედი, მოზრდილთა ორთოპედ-ტრავმატოლოგი, მოზრდილთა ნევროლოგი, ოფთალმოლოგი, ბავშვთა ნევროლოგი, კარდიოლოგი, დერმატოლოგი. აქციის მიმდინარეობას ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი ადგილზე გაეცნო. მან სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს უსასყიდლო ჩართულობისთვის მადლობა გადაუხადა და შესაბამისი სიგელები გადასცა. უფასო სამედიცინო აქცია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ, ორგანიზაციის ,,ექიმი და საზოგადოება" მხარდაჭერით განახორციელა.

ჯუნგ-ფუს ჩემპიონატი და საქართველოს პირველობა

ამბროლაურში, კუნგ-ფუს ჩემპიონატი და საქართველოს პირველობა გაიმართა, რომელშიც საქართველოს რეგიონებიდან ორთაბრძოლების 12 კლუბის 107 სპორტსმენი მონაწილეობდა (ვაჟები და გოგონები).

შეჯიბრი კუნგ-ფუს სამ სახეობაში გაიმართა: „ფაიტინგი", „ტუი შოუ" და „და დზენი". ტყიბულელმა კუნგ-ფუისტებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და სამივე სახეობაში 13 პირველი, 2 მეორე და 1 მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. საერთო შედეგით, ტყიბულის გუნდმა გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვა. სპორტსმენები ჩემპიონატისთვის ოლეგ ფანჩულიძემ მოამზადა.

„ფაიტინგში" ჩემპიონები გახდნენ: ნიკოლოზ ბუბაშვილი, საბა აბესაძე, დავით ჩეთოშვილი, ოთარ სანიკიანი, ბადრი ბოჭორიშვილი, ანდრო ბოჭორიშვილი, ლუკა მესხორაძე, მიხეილ ვერულაშვილი.

პრიზიორები გახდნენ: ალექსი მაჭავარიანი, გიორგი ფოფხაძე, გიორგი გოგილიძე.

„და დზენში" და „ტუი შოუში" ჩემპიონები გახდნენ: ალექსი მაჭავარიანი, გიორგი ფოფხაძე, გიორგი გოგილიძე, დავით ჩეთოშვილი, მიხეილ ვერულაშვილი.

სკოლის წარმატებულ სპორტსმენებს, საბა აბესაძეს და დავით ჩეთოშვილს კუნგ-ფუში სპორტის ოსტატობის კანდიდატობის წოდება მიენიჭათ. ასევე, ინსტრუქტორის წოდება მიენიჭა სკოლის წარმომადგენელს, ნიკოლოზ მესხორაძეს.

შედეგების მიხედვით, წლის საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ: საბა აბესაძე, ნიკოლოზ ბუბაშვილი, ალექსი მაჭავარიანი, დავით ჩეთოშვილი, ბადრო ბოჭორიშვილი და ოთარ სანიკიანი.

ტურნირის ორგანიზატორები და მასპინძლები იყვნენ „საქართველოს კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაცია", ამბროლაურის „კუდოს„ სკოლა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლა.

ტყიბულის გუნდს ტურნირზე გამგზავრებაში დახმარება ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტულმა ცენტრმა გაუწია.

ფრიზბი ტყიბულის დიდ სტადიონზე

ტყიბულში სპორტული და გასართობი აქტივობები უკვე რეგულარულად იმართება. მოყვარულმა სპორტსმენებმა აქტიურად დაიწყეს სპორტის ახალი სახეობის, ფრიზბის - იგივე მფრინავი დისკის პოპულარიზაცია. თითქმის ყოველდღე, 19:00 საათიდან 20:30 საათამდე, ფრიზბის მოყვარულები ტყიბულის დიდ სტადიონზე იკრიბებიან, თავადაც თამაშობენ და მზად არიან, სხვებსაც ასწავლონ.

ფრიზბის გარდა, იგეგმება სხვადასხვა სამაგიდო თამაშების, ფრენბურთის, კინოჩვენებებისა და საცეკვაო საღამოების ორგანიზება. სწორედ ამ მიზნით, სოციალურ ქსელში (Messenger, Telegram) ჩატი შეიქმნა, სადაც რეგულარულად ქვეყნდება სხვადასხვა აქტივობების შესახებ.

შემოუერთდით ჩვენს ჩატს

ტყიბულელი ძიუდოისტები მესტიის ტურნირზე

17-18 ივნისს, ჭიდაობა-ძიუდოში ნესტორ ხერგიანის სახელობის ტურნირი ჩატარდა. შეჯიბრი 2011-2012 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის გაიმართა და მასში მონაწილეობა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის აღსაზრდელებმაც მიიღეს.

აღნიშნულ ტურნირზე ჩვენმა ძიუდოისტებმა კარგად იასპარეზეს. რომიკო მოდებაძემ მძიმე წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ნიკოლოზ ბეშკენაძე 55კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა. გამარჯვებულების მწვრთნელები გრიგოლ სოფრომაძე და ირაკლი მერკვილაძე არიან.

ტყიბულელი ხელბურთელები ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზობენ!

პირველად ტყიბულის ხელბურთის ისტორიაში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის ოთხი ხელბურთელი გოგონა ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს!

სპორტული ცენტრის წარმატებული ხელბურთელების გუნდიდან საქართველოს ხელბურთის ფედერაციის მიერ ოთხი ხელბურთელი გოგონა შეირჩა. მარიამ გობეჯიშვილი, მარიამ ლაფერაძე, დიანა არაბიძე და მარიამ ოდიკაძე საქართველს ხელბურთის 17 წლამდელ გოგონათა ნაკრების გუნდით 19 ივნისიდან გაივლიან მზადებას და აგვისტოში, ქ. ბაქოში, ევროპის ჩემპიონატზე დაიცავენ საქართველოს ღირსებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელს, როინ მდივანისა და თენგიზ გვენეტაძის ხელმძღვანელობით, ტყიბულის ხელბურთელ გოგონათა გუნდი საქართველოს 15 წლამდელთა ხელბურთის ჩემპიონატის ტიტულის მფლობელი და 17 წლამდელთა ვიცე-ჩემპიონი გახდა. ამჟამად, გუნდს როინ მდივანი და მისი თანაშემწე, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, ლიზი რობაქიძე ავარჯიშებს.

„მეშახტე" ეროვნული ლიგა 3-ის წაუგებელ სერიას აგრძელებს!

საფეხბურთო კლუბი ტყიბულის ,,მეშახტე" ეროვნულ ლიგა 3-ში 9 მატჩიან წაუგებელ სერიას აგრძელებს. ,,მეშახტემ" მე-11 ტურში საჩხერის ,,ჩიხურა" დამაჯერებელი ანგარიშით 4-0 დაამარცხა. აღნიშნული მოგებით ,,მეშახტეს" 20 ქულა დაუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე იმყოფება.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ჩემპიონატის დებულების მიხედვით პირველ და მეორე ადგილზე გუნდები პირდაპირ, ხოლო მესამე და მეოთხე ადგილზე გასული გუნდები პლეიოფში გამარჯვების შემდეგ გადავლენ მე-2 ლიგაში.

მე-11 ტურის შემდეგ გუნდები დიდ შესვენებაზე გავიდნენ, ჩემპიონატი კი 3 აგვისტოს განახლდება. ამასთან ერთად, ტყიბულის ,,მეშახტე" თავისი ისტორიის განმავლობაში პირველად საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის 1/8 ფინალში გასასვლელადაც იბრძოლებს!

ს/კ ტყიბულის ,,მეშახტე" 22 ივლისს 1/8 ფინალში გასასვლელად ,,შუქურა 2" - ს დაუპირისპირდება, სადაც ჩვენი გუნდი ფავორიტად მოიაზრება.

ქუთაისში 480 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა

საქართველოს პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა, დევნილ ოჯახებს სიტყვით მიმართეს, ახალმოსახლეობა მიულოცეს და სიმბოლურად, მრავალშვილიან ოჯახს ბინის გასაღები გადასცეს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ქუთაისში სამი 16 სართულიანი კორპუსის მშენებლობა დასრულდა, სადაც 480 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცა. უახლოეს პერიოდში, მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ 320 ბინის მშენებლობა დასრულდება.

დევნილების ბინებით უზრუნველყოფის პროექტი მთელი საქართველოს მასშტაბით გრძელდება. მიმდინარეობს 720 ბინის მშენებლობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სამი 12 სართულიანი კორპუსი აშენდება. მშენებლობა 2025 წლის ბოლომდე დასრულდება.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბინები გადაეცა და საცხოვრებელი დაუკანონდა 31 000 ოჯახს. ასევე გრძელდება სოფლად სახლების გადაცემის პროგრამა. მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, დამატებით 13 000 ოჯახი მიიღებს საცხოვრებელს, საიდანაც 7 000 იქნება ბინა, 6 000 კი სოფლად სახლის პროგრამის ფარგლებში გადასაცემი სახლები.

ქუთაისში დევნილი ოჯახებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი კომპლექსი შერვაშიძის ქუჩაზე მოეწყო. კორპუსები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ააშენა.

17-18 ივნისს ქუთაისმა „გემო ფესტს“ უმასპინძლა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, რიგით მესამე გასტრონომიული ფესტივალი იმერეთში გაიმართა. წელს იმერეთიდან „გემო ფესტში“ ქუთაისის, ვანის, წყალტუბოს, თერჯოლას, ზესტაფონის, ფერსვის, არგვეთასა და საზანოს 17 ობიექტი მონაწილეობდა.

ფესტივალს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში ზაზა ლომინაძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ფესტივალის ლოკაციაზე კვების სივრცე, გრილის ზონა, სამეწარმეო და ღვინის მარკეტი, მოსასვენებელი სივრცე და ფოტო ზონები მოეწყო. გარდა ამისა, ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის შემეცნებითი და გასართობი აქტივობები გაიმართა. ორივე საღამო კონცერტით დაგვირგვინდა.

"გემო ფესტის" მიზანია რეგიონებში ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაცია, მეწარმეების/ოჯახების ხელშეწყობა, შიდა და საერთაშორისო მოგზაურების ნაკადების ზრდა.

ფესტივალის პარტნიორები იყვნენ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი.

ვანის არქეოლოგიური მუზეუმი ევროპის მუზეუმების ფორუმის EMYA 2023 გამარჯვებულია

6 მაისს, ბარსელონაში, ევროპის 2023 წლის მუზეუმის კონკურსის (EMYA 2023) დაჯილდოების ცერემონიაზე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმს სილეტოს პრიზი გადაეცა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში იმყოფებოდა, სადაც სილეტოს ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიას დაესწრო და მუზეუმის თანამშრომლებს ევროპის მუზეუმების პრემიის EMYA2023 - გამარჯვებულის ტიტული პირადად მიულოცა.

მუზეუმმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა როგორც გამორჩეულმა ცენტრმა, რომელსაც საზოგადოების საკეთილდღეოდ დადებითი ცვლილებების განხორციელების განსაკუთრებული პოტენციალი აქვს.

ოკაცეს ჩანჩქერზე მოგზაურობა ღამით, 3D განათებების ფონზე უკვე შესაძლებელია

პირველად საქართველოს დაცულ ტერიტორიაზე, ოკაცეს ჩანჩქერზე მოგზაურობა ღამის საათებშიც იქნება შესაძლებელი. ეკომეგობრული, საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი 3D განათების სისტემა ზიანს არ აყენებს გარემოს და, ამავდროულად, მოგზაურობას კიდევ უფრო სანახაობრივს ხდის.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ ოკაცეს ჩანჩქერზე მოწყობილი ღამის 3D განათებები დაათვალიერეს.

აღნიშნულ ლოკაციაზე იმყოფებოდნენ ხონის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ჯურხაძე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით იოსებაშვილი.

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუდმივად ზრუნავს დაცული ტერიტორიების განვითარებაზე. მიმდინარე წელს, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე ეკოტურიზმის განვითარებისთვის 22.5 მილიონამდე ლარის ინვესტიცია განხორციელდება. მარტვილის კანიონსა და ოკაცეს ჩანჩქერზე 3D განათების სისტემების დამონტაჟების საერთო ბიუჯეტმა 4 მილიონი ლარი შეადგინა. 3D განათებებით გაფორმებული ოკაცეს ჩანჩქერის მონახულება 1 კვირის განმავლობაში სრულიად უფასო იყო.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სპეცმანქანებით განახლდა

ჯანდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ავტოპარკი 23 სპეცმანქანით განახლდა. მაღალი გამავლობის, ევროსტანდარტების შესაბამისი, ავტომობილები, თანამედროვე სამედიცინო აპარატურითაა აღჭურვილი და რთულ რელიეფზე გადასაადგილებლად არის განკუთვნილი.

სასწრაფო დახმარების 23 ახალი ავტომობილი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონებში (ტყიბულში, ვანში, ხარაგაულსა და ქიათურაში) გადანაწილდება.

ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი UEFA-ს სტანდარტების შესაბამისად მოეწყო!

საქართველოში UEFA-ს 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატს ღირსეულად ჩასატარებლად აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 ინფრასტრუქტურულ ობიექტს. მათ შორის არის ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი და საწვრთნელ-სათადარიგო სტადიონი წყალტუბოში.

სტადიონი აღჭურვილია UEFA-ს სტანდარტის ბალახის საფარით და შესაბამისი სარწყავ-სადრენაჟე სისტემით. ფაქტობრივად, თავიდან აშენდა ადმინისტრაციული შენობა, რომელიც სრულად აღჭურვილია სპორტული და აუცილებელი ინფრასტრუქტურით; მოეწყო გაგრილების, გათბობის, წყალმომარაგების, წყალარინებისა და უსაფრთხოების სისტემები. დამონტაჟდა სტადიონის სისტემა, გახმოვანებისა და უსაფრთხოების ახალი სისტემები, ახალი სკამები, ლედ სარეკლამო კედლები და სხვა. საქართველოში UEFA-ს 21 წლამდე ნაკრებთა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში, სტადიონზე შეიქმნა ისეთი სტანდარტის ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ფეხბურთის განვითარებას და ახალგაზრდების სპორტით დაინტერესებას. სამუშაოების ღირებულება დაახლოებით 35 მილიონი ლარია.

ჩვენი ქვეყანა არის სრულად მზად, რომ ღირსეულად, უმაღლეს დონეზე ჩავატაროთ ეს ჩემპიონატი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენთვის იყო ძალიან დიდი გამოწვევაც, ამავე დროს არის ძალიან დიდი პატივი, ვუმასპინძლოთ ამ მეტად მნიშვნელოვან ღონისძიებას. ჩვენ სულ რაღაც 1 წელიწადში, უფრო ნაკლებ დროში, ჩავუტარეთ რეაბილიტაცია 10 ობიექტს - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისში, რამაზ შენგელიას სახელობის განახლებულ სტადიონზე განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, ჯამში, 10 ობიექტის რეაბილიტაციისთვის 115 მლნ ლარი დაიხარჯა.

„მე ვიცი ძალიან მდიდარი ტრადიციების შესახებ, რომლებიც არსებობს ამ ქალაქში. ფეხბურთი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს ჩვენთვის და განსაკუთრებით ქუთაისისთვის. ეს არის მხოლოდ დასაწყისი.

სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც მიმდინარეობს ქუთაისში. განახლებული რეგიონის ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩავუტარეთ ძალიან მნიშვნელოვან ობიექტებს, მაგრამ ახლა ჩვენ ვიწყებთ კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტს - ჩვენი ისტორიული ქუთაისის ისტორიული უბნების რეაბილიტაციას. 200 მილიონი გვაქვს ჩასმული წელს. გვინდა, რომ 10 ქალაქში დავიწყოთ განახლების სამუშაოები. მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა და წელსვე დავიწყებთ სამუშაოებს.

ასე რომ, ჩვენ ეტაპობრივად ვუვლით ქალაქებს, ვალამაზებთ და გვინდა, რომ ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ქვეყანა გარდავქმნათ რეალურად ევროპული ტიპის, თანამედროვე, მოვლილ, ლამაზ ქალაქებად, რაიონებად, სოფლებად. ეს არის ჩვენი საერთო მიზანი. რაც მთავარია, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო მშვიდობა, მეგობრებო, დამეთანხმებით. მშვიდობა არის მთავარი. ჩვენ ვახერხებთ და შევინარჩუნეთ მშვიდობა, სტაბილურობაც, განვითარებაც გვაქვს, და ეს ყველაფერი, რაც შევძელით, რა თქმა უნდა, არის მშვიდობის დამსახურება და ჩვენი სწორი პოლიტიკის დამსახურება" - განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრთან ერთად განახლებულ სტადიონზე იმყოფებოდნენ: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი, ფეხბურთის ფედერაციისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

უეფას 21-წლამდე ევროპის ჩემპიონატი საქართველოსა და რუმინეთში, 21 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით, საქართველოს სამ ქალაქში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართება.

ქუთაისში ევროპის ჩემპიონატის პირველი საფეხბურთო მატჩი გაიმართა

"შენგელიას არენას" ახალ სტადიონზე 21 წლამდე ასაკის გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატის პირველი მატჩი გაიმართა. ერთმანეთს ისრაელისა და გერმანიის გუნდები შეხვდნენ. მატჩი ფრედ, ანგარიშით 1:1 დასრულდა.

ქუთაისში ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზი აშენდა!

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქუთაისში ოლიმპიური საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები დაასრულა.

თანამედროვე, ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზის სიგრძე 50 მეტრი, ხოლო სიგანე 25 მეტრია. აუზის კომპლექსში მოეწყო 600-მდე მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა, მცირე საბავშვო აუზი, სავარჯიშო დარბაზები, გასახდელები სპორტსმენებისა და მსაჯებისათვის; ასევე, სივრცეები კვებისა და სპორტული ინვენტარის მაღაზიებისათვის. ოლიმპიური აუზის შენობა აღჭურვილია თანამედროვე საინჟინრო ქსელებით, საფილტრაციო და სატუმბი სადგურებით, გათბობის, გაგრილების და სახანძრო სისტემებით. შესრულებული სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ, მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

აუზის გარე ტერიტორიაზე მოეწყო პარკინგი და გარე კაფე. ახალი აუზით სარგებლობას შეძლებენ როგორც მოყვარულები, ისე სპორტსმენები საწყლოსნო სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ოლიმპიური აუზი მოემსახურება ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებსაც.

აუზის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ამჟამად, სრულდება საცურაო აუზის აღჭურვა და მიმდინარეობს მისი ტესტირების პროცესი. ქუთაისში ოლიმპიური აუზის მშენებლობა 2021 წლის აპრილში, აზიის განვითარების ბანკის (ADB) 13.6 მილიონი ლარის ფინანსური მხარდაჭერით, დაიწყო.

განახლებული ტყიბული

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, ქვეყნის ფაქტობრივად ყველა მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება აქტიურ ფაზაშია.

იმერეთის რეგიონში, პროგრამით დაფინანსებული რამდენიმე პროექტი ხორციელდება. ქალაქ ტყიბულში, „განახლებული რეგიონების“ პროგრამის ფარგლებში, დასრულდა გამსახურდიას ქუჩის რეაბილიტაციის პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები და მიმდინარეობს მესამე ეტაპის სამუშაოები.

მესამე ეტაპის სამუშაოების შედეგად, რეაბილიტაცია უტარდება 3 შენობას, 1 სკვერს, მიმდებარე ტროტუარებს და ღობეებს. სამივე ეტაპის დასრულების შემდეგ, რეაბილიტირდება 42 შენობა, 1 სკვერი და მიმდებარე ტროტუარები. ასევე, მოხდება გაზონების გამწვანება და ღობეების მოწყობა.

„განახლებული რეგიონების“ 4-წლიანი პროგრამა საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს მოიცავს. პროგრამა რეგიონების ურბანულ განახლებას ითვალისწინებს, რაც სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის და კერძო საკუთრებაში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტის განვითარებას გულისხმობს.

პროგრამის დასრულების შემდეგ, ქვეყნის რეგიონებში განახლდება ცენტრალური ქუჩები, რეაბილიტირდება და მოეწყობა ახალი სკვერები და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურა. ახალი პროექტების შედეგად განახლებული ურბანული მდებარეობები ადგილობრივ მოსახლეობას ახალ შესაძლებლობებს გაუჩენს.



მეშახტე
მაისი-ივნისი 2023

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, მაკა კობახიძე, გაგა ისაკაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.
მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

ჟურნალტიპული გამოცემა
www.facebook.com/saknakhshiri